PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

## სსიპ-კოლეჯი „ბლექსი“

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ეკა ლუაშვილი

წევრები:

ალექსანდრე კეკენაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **კოლეჯი ბლექსი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **სსიპ- საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



*(ქ.თბილისი, 2020)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

PDF Eraser Free

**სსიპ კოლეჯი „ბლექსი“** (შემდგომში - კოლეჯი) არის სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც წარმოადგენს ქ. ბათუმში წლების მანძილზე სახელმწიფო ბაზაზე არსებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლებლის სამართალმემკვიდრეს. კოლეჯში სწავლება ხორციელდება ტურიზმის, სამშენებლო, IT და ტექსტილის მიმართულებით, ამასთან კოლეჯისთვის პრიორიტეტული მიმართულებაა ტურიზმი და სამშენებლო. პროფესიული საგანმათლებლო პროგრამების პარალელურად კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს.

2013 წლიდან დღემდე კოელჯი დაასრულა 1 397 პირმა. გასული წლების მონაცემებით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი შეადგენს 57 %-ს, ცალკეულ სპეციალობებზე კი - 80 %-ს.

აღსანიშნავია, რომ 2011 წელს ,,გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) მხარდაჭერით კოლეჯში დაფუძნდა Cisco-ს ქსელური აკადემია. აკადემიას ჰყავს ოთხი ინსტრუქტორი, აკადემიაში სწავლება მიმდინარეობს ორ პროგრამაზე: IT Essentials და CCNA Routing and Switching.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 15 ივნისის N470918 -ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა 2020 წლის 01 ივლისს განახორციელა ვიზიტი **სსიპ კოლეჯი „ბლექსი“ - ში.**

**ვიზიტის მიზანს** წარმოადგენდა კოლეჯის მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ **31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

**შემოწმება.** ექსპერტების მიერ ვიზიტამდე შესწავლილ იქნა კოლეჯის მიერ სსპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარდგენილი დოკუმენტაცია.

კოლეჯში ვიზიტისას, შემოწმება განხორციელდა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის შესაბამისად, რომელიც თან ერთვის წინამდებარე დასკვნის პროექტს.

საგულისხმოა, რომ კოლეჯმა **„კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა 2019 წელს დაიმატა** და მას ახორციელებს მოდულური პროგრამის სტატუსით, ხოლო მოცემული წარმოების ფარგლებში კოლეჯს **სურს უზრუნველყოს ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება მოქმედ პროგრამაში** და შესაბამისი უფლების მინიჭების შემდეგ მოახდინოს მისი აღნიშნული მიდგომით განხორციელება.

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული შიდა მარეგულირებელი აქტები, ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია, მათთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები და შეფასდა კოლეჯის მიერ მათი იმპლემენტაციის შედეგები, რისთვისაც ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის წარმომადგენლებთან (ადმინისტრცია, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლები, მათ შორის ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსი), ასევე გამოთხოვილ და შეფასებულ იქნა დოკუმენტაცია პროგრამის ავტორიზაციის შესაბამის სტანდარტთან თავსებადობის დადგენის მიზნით. ექსპერტებმა დავათვალიერეთ კოლეჯის ინფრასტრუქტურა და შევაფასეთ მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და შესაბამისი რესურსები „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტერგირებული მიდგომით განხორციელების მიზანშეწონილობის და ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან თავსებადობის კონტექსტში. კოლეჯში ექპერტთა ვიზიტი წარიმართა კომფორტულ და თანამშრომლობით გარემოში.

დასახელბული აქტივობების ანალიზი ექსპერტებს აძლევს იმის თქმის საშაუალებას, რომ რომ კოლეჯი, წარმატებით უძღვება საგანმანათლებლო საქმიანობას. ინსტიტუციის ძლიერი მხარეა: კომპეტენტური, გამოცდილი და მოტივირებული ადმინისტრაციული პერსონალი; მაღალი პოტენციის მქონე, შრომის და განათლების ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული განათლების

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

მასწავლებლები, ძლიერი და სტაბილური პარტნიორები, რომელიც არამხოლოდ ასაქმებენ კოლეჯის კურსდამთავრებულებს, არამედ აქტიურად არიან ჩართულნი პროგრამის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და განვითარების პროცესებში.

ზემოთ დასახელბული გარემოებები, ექსპერტთა ჯგუფს აძლევს იმის თქმის საფუძველს, რომ კოლეჯის მიერ „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელება გააზრებულია ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარების კონტექსტში, ხოლო ქვემოთ მოცემული შეფასების შედეგები ცხადყოფს, რომ კოლეჯი წარმატებით გაუძღვება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების პროცესს.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

ესპერტთა ჯგუფმა გამოკვეთა კოლეჯის ძლიერი მხარეები, რომელიც ზემოთ იქნა დასახელებული, საუკეთესო გამოცდილება არ გამოვლენილა.

### V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

ესპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წინა ვზიტის ფარგლებში განხორციელებული შეფასების შედეგები, რომლითაც განხორციელდა „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება. დასახელებული წარმოების დროს რეკომენდაციები არ იქნა განსაზღვრული.

### VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

შეფასების შედეგად ხარვეზი არ გამოვლენილა.

### VII. რეკომენდაციების შეჯამება

**კომპონენტი 2.2.1**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**





*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

1. ექსპერტთა ჯგუფმა კომპონენტი შეაფასა **მეტწილი შესაბამისობით.** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" **მატერიალური რესურსი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი,** რაც დასტურდება როგორც მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ექსპერტების მიერ ფიზიკური დათვალიერებით. დანაკლის სასწავლო რესურსის ნაწილის შესყიდვაზე გაფორმებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რესურსის მიწოდების ვადად დასახელებულია 2020 წლის 30 აგვისტო. ხოლო რესურსის სრულყოფის მიზნით კოლეჯი გეგმავს ტენდერების გამოცხადებას და აპირებს მის გაგრძელბას ვიდრე სრულად არ იქნება შევსებული. აღჭურვილობის შესყიდვა გათვალისწინებულია შესაბამისი გეგმით და კოლეჯს გააჩნია აღნიშნული აღჭურვილობის შესყიდვისთვის საჭირო ფინანსური რესურსი. შესყიდვების პროცედურა დასრულდება არაუგვიანეს 2020 წლის 10 ოქტომბრისათვის, ვიზტის განხორციელების თარიღიდან 4 თვეში.

**განმავითარებელი რეკომენდაცია**
**კომპონენტი 2.3.1.**

2. მისასალმებელია, რომ კოლეჯი თანმიმდევრულად ახორციელებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების დადგენილ წესებსა და პროცედურას, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული არის მტკიცებულება იმისა, რომ **კოლეჯი აკმაყოფილებს 2.3.1. კომპონენტის 1 და 2 იდიკატორის მოთხოვნებს.** ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლება წარმატებულად განახორციელა, შეიმუშავა მოცულობითი რეგულაციები და ინსტიტუციაში არსებობს ხარისხის კულტურის დანერგვისა და უწყვეტი განვითარების მზაობა, **მიზანშეწონილია** კოლეჯის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავდეს ინსტიტუციაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის შეფასებას, ხოლო პროგრამის შეფასების მიზნებისათვის კოლეჯში დაინერგოს პროგრამის თვითშეფასების კულტურა, რომელიც ყოველწლიურად უყრის თავს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს და შესაძლებელია მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს - გამოკითხვების შედეგებს, ინფორმაციას პროფესიული სტუდენტთა პროგრესიის შესახებ, ინფორმაციას განხორციელებული კვლევების შესახებ, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მდგრადობის მაჩვენებელს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლს, პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი ძლიერ მხარეებს პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილ

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

სუსტი მხარეებს, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიასა და მიზნობრივ ღონისძიებებს და სხვ. პროგრამის შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი, კოლეჯს შესაძლებლობას მისცემს გაზომოს წლიდან წლამდე განცდილი პროგრესი, თითოეული პროგრამის განვითარების კონტექსტში და მისი გავლენა ინსტიტუციის საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგებზე.

## VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | **კომპიუტერული ქსელი და სისტემები** |
| პროფესიული განათლების დონე | **მეოთხე** |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | **საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში** |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | **0612** |
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | **№01-02/156; 01.08. 19. / №01-02/ 94; 08.06.20** |
| პროგრამის განხორციელების ენა | **ქართული** |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | **ქ.ბათუმი, მიხეილ ლერმონტოვის ქ. № 92ა** |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | **მოდულური** |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | **40** |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | **40** |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **148** |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **90** |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **178** |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | **120** |

## VIII. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | **სრული 3** | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | **მეტწილი 2** | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | **სრული 3** | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯის გადაწყვეტილება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**





*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

კოლეჯის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. კერძოდ, კოლეჯის მისიის განაცხადში დეკლარირებულია პროფესიული განათლების მიღების მსურველთათვის თანაბარი პირობების შექმნა და პროფესიული განათლების მსურველთა მაჩვენებელთა ზრდის მხარდაჭერა, შესაბამისად განსახილველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან. ამასთანავე კოლეჯს სამოქმედო გეგმის შესაბამისად დაგაგემილი აქვს 2020 წლიდან პროგრამის ინტეგრირებული მიდგომით განხორციელება.

ვიზიტისას შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება. წარმოდგენილი მტკიცებულებისა და კოლეჯის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით აჭარის რეგიონში მოთხოვნა მზარდია, ამასთანავე კოლეჯს აქვს მნიშვნელოვანი გამოცდილება ამ მიმართულებით პროგრამების განხორცილებისა და კურსდამათვრებულების მაღალი დასაქმების მაჩვენებლის.

კოლეჯის მიერ შესაწავლილი იქნა სკოლის მოსწავლეებისა და მათი მშობლების განწყობები და მზაობა „ კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული პროგრამის ინტეგირებული მიდგომით განხოცილების შესახებ. კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ პროგრამის, ინტეგრირებული მიდგომით განახორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაიზრდება მასზე მოთხოვნა.

2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია ჩარჩო-დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ: არაინტეგრირებულ სასწავლო გეგმით სწავლებისას პროგრამაზე დაიშვებიან სრული ზოგადი განათლების მქონე პირები, ხოლო ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში დაიშვებიან საბაზო განათლების მქონე პირები.
3. კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ითვალისწინებს: პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულ მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს, პროგრამის განხორციელების მიდგომას, პროგრამის სპეციფიკასა და მოთხოვნადობას, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ფაქტორებს.

ექსპერტთა მიერ შესწავლილ მეთოდოლგიაში გათვალისწინებულია ინტეგრირებული მოდულური პროგრამის შემთხვევაში კვოტის განსაზღვრის თავისებურება.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

მოდულურ პროგრამაზე (ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით) - ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრა“ ეფუძნება კოლეჯის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას და ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების 62-ე მუხლის მოთხოვნებს. კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მოდულურ პროგრამაზე ( ინტეგრირებული სასწავლო გეგმით) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის დროს გათვალისწინებულია პროგრამისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოს ოდენობა ( მათ შორის, ლაბორატორია), ადამიანური რესურსის ოდენობა, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განმახორციელებლების, პროგრამის სპეციფიკა, ხანგრძლივობა და ის გარემოება, რომ კოლეჯი მუშაობს სხვადასხვა ცვლაში.

4. ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამით „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ გათვალისწინებული რესურსი. ექსპერტთა შეფასებით პროგრამის რესურსი, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ არჩევითი მოდულებს არ მოიცავს.
6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ.

   კერძოდ, კოლეჯის შიდა რეგულაციების თანახმად ( სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირია კოლეჯის დირექტორი.

   კოლეჯს შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა, რითაც განსაზღვრულია პროგრამის დამტკიცება, გაუქმება და პროგრამაში ცვლილების შეტანა. აღნიშნული რეგულაციების შესაბამისად ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამა დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის №01-02/156; 01.08.19. ბრძანებით და მასში ცვლილება (ზოგადი მოდულების ინტეგრირება) განხორციელდა კოლეჯის დირექტორის №01-02/94; 08.06.2020 ბრძანების საფუძველზე.
7. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სახელწოდება „,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შეესაბამება პროგრამის შინაარსს და პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამა მიოიცავს ყველა საერთო პროფესიულ მოდულს, ზოგად მოდულებს და სავალდებულო პროფესიულ მოდულებს.

პროგრამა სრულ შესაბამისობაშია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ შესაბამის ჩარჩო დოკუმენტთან. ასევე, „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 აგვისტოს N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებულ წესთან.

საგანმანათლებლო პროგრამაში ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“, განსაზღვრულია პროგრამის მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (განხორციელების მიდგომების შესაბამისად), მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. ექსპერტთა მიერ შეფასებული იქნა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს: მოდულებს (მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულები), სასწავლო გეგმა (ორი სხვადასხვა მიდგომით), ინფორმაცია პროგრამის მატერიალური და ადამიანური რესურსების თაობაზე, მათ შორის, ინტეგრირებული ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. ინტეგრირებულ პროგრამაზე სასწავლო გეგმა გაწერილია 3 წელზე. პროგრამას თან ერთვის მოდულები: ,,ქართული ენა A2“, „ქართული ენა B1“ და აღნიშნული მოდულების განხორციელების სასწავლო გეგმა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება- გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა):**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 01 ივნისის №01-02/88 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2019 წლის 01 აგვისტოს №01-02/152 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2019-2026 წლების სტრატეგიული გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 31 იანვრის №01-02/22 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2020 წლის სამოქმედო გეგმა;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით დამტკიცებულია ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“.

**საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება:**

- მოდულური პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ინტეგრირებული მიდგომით განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;

**საგანმანათლებლო პროგრამა (ძირითადი დოკუმენტი, მოდულები, სასწავლო გეგმა მოდულების წინაპირობების და პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით) მოდულური პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სრული პაკეტი პროგრამა ორგვარი მიდგომით) პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და არსებობის შემთხვევაში, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პარტნიორი დაწესებულებების შესაძლებლობებს -**

- სსიპ კოლეჯის “ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 04 ივნისის №01-02/91 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის (კვოტის) განსაზღვრის მეთოდოლოგია“

**დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებაზე უფლებამოსილი პირი/ორგანო:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 01 ივნისის №01-02/88 ბრძანებით დამტკიცებული „ სსიპ კოლეჯში „ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;

**საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების აქტი:**

- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“დირექტორის №01-02/156; 01.08. 19. ბრძანება;
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის №01-02/94; 08.06.20; ბრძანება (ცვლილების აქტი).
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

   პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. პროგრამისათვის კოლეჯში გამოყოფილია ერთი A გარემო, ერთი A/B გარემო. ორი B და ერთი C გარემო ( ინტეგრირებული მოდულის ლაბორატორია). თითოეული გარემოს ფართი და მატერიალური რესურსი გათვლილია ჯგუფში მაქსიმუმ 20 პროფესიულ სტუდენტზე. 5 ინტეგრირებული ზოგადი მოდულისათვის კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 17 პირთან. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კვოტა განისაზღვრება 2 ჯგუფით, მეთოდოლოგიის შესაბამისად კოლეჯში სწავლის განხორციელება შესაძლებელია ორ ცვლაში, შესაბამისად შესაძლებლია 40 პროფესიული სტუდენტისათვის მომსახურების გაწევა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" მატერიალური რესურსი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი, რაც დასტურდება როგორც მიმწოდებელ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ასევე ექსპერტების მიერ ფიზიკური დათვალიერებით. დანაკლის სასწავლო რესურსის ნაწილის შესყიდვაზე დადებულია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რესურსის მიწოდების ვადად დასახელებულია 2020 წლის 30 აგვისტო. ხოლო რესურსის სრულყოფის მიზნით კოლეჯი გეგმავს ტენდერების და აპირებს მის გაგრძელბას, ვიდრე სრულად არ იქნება შევსებული. აღჭურვილობის შესყიდვა

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

გათვალისწინებულია შესაბამისი გეგმით და კოლეჯს გააჩნია აღნიშნული ფინანსური რესურსი. შესყიდვების პროცედურა **დასრულდება არაუგვიანეს 2020 წლის 10 ოქტომბრისათვის.**

2. „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ კოლეჯს საერთო პროფესიული და დარგობრივი მოდულების განხორციელებისთვის შრომითი ხელშეკრულება აქვს დადებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებთან წინარე ხელშეკრულებები. აღსანშნავია, რომ პროგრამას ჰყავს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული მოდულების განსახორციელებლად, მათ შორის 4 არის cisco – ს საერთაშორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი. ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ გადამოწმდა მათი პირადი საქმეები, მოხდა მათთან გასაუბრება და გადამოწმდა მათი სასწავლო დატვირთვა. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა მოთხოვნილი კვოტის შემთვევაში (40 ) უზრუნველყოფს „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეში წარმოდგენილმა ინფორმაციამ და მათთან გასაუბრებამ, მათ შორის ინტეგრირებული მოდულის განმახოციელებელ პერსონალთან ცხადყო, რომ მათ აქვთ გააზრებული დამოკიდებულება საკუთარ როლზე, პროგრამის განვითარებისა და მდგრადობის, ასევე სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის. პროფესიული მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულების შესახებ, გააზრებული აქვთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიდგომები, სწავლების და შეფასების მეთოდები, პროგრამის ყველა მასწავლებელს გავლილი აქვს მოდულური პროგრამების სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიის ტრენინგები. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების მასწავლებლების ტრენინგი კი დაგეგმილია უახლოეს მომავალში. აღნიშნულის შესახებ ექსპერტების მიერ ინფორმიერება მოხდა კოლეჯის ადმინისტრაციის მიერ, ხოლო გასაუბრებისას ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებელმა პერსონალმა გამოხატა მზაობა ასეთი სახის ტრენინგებში მონაწილეობის შესახებ.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

3. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი; დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციები და საჭირო უნარები, ვიზიტის დროს მოხდა ექსპერტთა მიერ პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრება და მისი პირადი საქმის გადამოწმება. მისასალმებელია, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ ხელმძღვანელი არის CISCO - ს საერთასორისო ქსელური აკადემიის ინსტრუქტორი, კომპიუტერული ტექნოლოგიების მაგისტრი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს კოლეჯთან ურთიერთობის მრავალწლიანი სამუშაო გამოცდილება. მასთან გასუბრებამ ექსპერტები დაარწმუნა, რომ იგი კვალიფიციურობასთან ერთად საკუთარ ფუნქციებს დიდი მოტივაციით უდგება, არის მუდმივად ძიებაში, რათა შეძლოს სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის მხარდასაჭერად თანამედროვე მიდგომების მოიძიება და დანერგვა სწავლების პროცესში. მან ექსპერტებს გააცნო მოსაზრებები პროგრამის ცალკეული კომპონენტების დისტანციური პლატფორმის მეშვეობით განხორციელების შესახებ. რაც არის კარგი მტკიცებულება იმისა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი გააზრებულად და პასუხისმგებლობით უდეგაბ საკუთარ მოვალეობებს.
4. „კომპიუტერული ქსელის და სისტემების“ მოდულურ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური სახით კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ასევე, ელექტრონული სახით მასალები არის კოლეჯის ბიბლიოთეკაში. ვიზიტის დროს მოხდა მოდულებში მითითებული საგანმანთლებლო რესურსის გადამოწმება და კოლეჯის ბიბლიოთეკართან გასაუბრება. ბიბლიოთეკაში არსებული სასწავლო რესურსი დამუშავებული და აღრიცხულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. პროფესიულ სტუდენტებს სრულად აქვთ წვდომა აღნიშნულ რესურსთან. ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს კომპეტენტური და მოტივირებული ადამიანი. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის სამოქმედო გეგმითა და შესაბამისი ბიუჯეტით კოლეჯმა დაგეგმა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისათვის ლიტერატურის შესყიდვა, ხოლო ვიზიტისას დადასტურდა დასახელებული ლიტერატურის შესყიდვა.
5. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და აქვთ მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროცესის განხოციელებისათვის საჭირო სივრცეები ადაპტირებულია. შენობის სართულებზე გადაადგილება შესაძლებელია კიბეზე დამონტაჟებული პანდუსის გამოყენებით. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია სასწავლო პროცესში ინკლუზიური პროფესიული განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებებთან. კოლეჯში ფუნქციონირებს „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი“. რომელიც ითვალისწინებს კოლეჯის სსსმ და შშმ პირი სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას.

კოლეჯს ჰყავს ორი ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი სსსმ პირთა ასისტენტი, ასევე ჟესტური ენის თარჯიმანი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ - ერთი ფუნქციაა უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა, ხოლო სსსმ პირთა ასისტენტის ფუნქციაა უზრუნველყოს სტუდენტის სამუშაო და სასწავლო მასალის ადაპტირება, აღნიშნული პრაქტიკა დანერგილი კოლეჯში, შესაბამისად მიუხედავად იმისა, რომ განსახილველი პროგრამის შემთხვევაში ჯერ არ ყოფილა გამოყენებული, ასეთი საჭიროების დადგომისას კოლეჯი გამოიყენებს იმ მეთოლოდოგიას და პროცედურებს რის გამოცდილებაც უკვე აქვს. ექსპერტები გაესაუბრნენ ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტს, გასაუბრების შედეგებმა ცხადყო, რომ კოელჯს არა მხოლოდ შიდა რეგულაციების დონეზე აქვს აღნიშნნული საკითხი გააზრებული, არამედ მას ჰყავს კომპეტენტური და გამოცდილი ადამიანები დადგენილი რეგულაციების სრულფასოვანი იმპლემენტაციისთვის.

6. კოლეჯი უზრუნველყოფს ფინანსური რესურსით „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ბიუჯეტი და გაესაუბრნენ კოლეჯის წარმომადგენლებს. ამასთანავე კოლეჯმა შეიმუშავა ინტეგრირებული პროგრამის ბიუჯეტი, რომლის მიხედვით პროგრამა რენტაბელურია მინიმუმ 12 პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ:**

- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 24 ივნისის №01-02/122 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ შინაგანაწესი;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 01-02/18 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“;
- ,,სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ ინტეგრირებული ზოგადი მოდულების: ,,კომუნიკაცია ქართულ ენაზე“, ,,მათემატიკური წიგნიერება“, ,,მოქალაქეობა“, ,,მეწარმეობა“, ,,მეცნიერება და ტექნოლოგიები“ პროფესიული განათლების მასწავლებლების შერჩევის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

მიზნით, საკონკურსო კომისიის შექმნის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის, კონკურსის ჩატარების პირობების და ვადების განსაზღვრის შესახებ“.

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 30 მარტის N 01-02/62 ბრძანება;
- კონკურსის ოქმები და მასალები;
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 01 ივნისის №01-02/88 ბრძანებით დამტკიცებული ,, სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები;

**მატერიალური რესურსის დადასტურება**

- კოლეჯის მიერ შევსებული ფორმა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- კოლეჯის დამტკიცებული ბიუჯეტი და შესყიდვების გეგმა;
- **გაუმჯობესების გეგმა** - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის №01-02/97 ბრძანებით;
- ინტერგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
- სასწავლო რესურსი დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- ელექტრონული ბიბლიოთეკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები;
- კოლეჯის ბიბლიოთეკართან და ინკზლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან ინტერვიუს შედეგები.
- კოლეჯის დირექტორთან და დირექტორის მოადგილესთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ **მეტწილად შეესაბამება**

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. კოლეჯში პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, ასევე საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, კერძოდ კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება დემინგის: „დაგეგმე- განახორციელე- შეაფასე- გადახედე/გაუმჯობესე“ (PDCA) ციკლს. კოლეჯს შემუშავებული აქვს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც ითვალისწინებს შრომის და განათლების ბაზარზე მოთხოვნების შესწავლას, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს. მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამაში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

   კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი.

   პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებზე დასწრების შედეგების ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების საფუძველზე. პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობის შესახებ მათ შორის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით პროგრამის ხელმძღვანელები წარმოადგენენ ანგარიშებს. კოლეჯმა განაახლა/შეიმუშავა ახალი გამოკითხვის ფორმები და კვლევების მეთოდოლოგია.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას ექსპერტები დარწმუნდნენ, რომ მას გათვიცნობიერებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსი და უზრუნველყოფს მათ რეალიზებას. ხარისხის მართვის მენეჯერი არის კომპეტენტური და გამოცდილი პირი.

2. კოლეჯში არსებობს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასებისთვის განსაზღვრული მექანიზმების გამოყენების შედეგების დამუშავების, მასზე დაფუძნებული რეკომენდაციების განსაზღვრისა და გადაწვეტილებების მიღების კულტურა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს დროს კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერმა აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევების შედეგების ანალიზის შესაბამისად ხდება ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ წლიური ანგარიშის წარდგენა დირეტქორის მოადგილის წინაშე, სადაც შეფასებულია წლის განმავლობაში თითოული პროგრამის განვითარების მიზნისთვის განხორციელებული აქტივობები და მათზე დაფუძნებით განსაზღვრული რეკომენდაციები. ექსპერტებმა შეისწავლეს ხარისხის მართვის მენეჯერის 2019 წლის ანგარიში, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის 2020 წლის სამქომედო გეგმა.

ინტერვიუებისას პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს პროგრამის განვითარებისთვის კვლევებში მონაწილეობა, ხოლო პროფესიული სტუდენტებთან გასაუბრება დღის წესრიგით არ იქნა დაგეგმილი პანდემიის მიზეზით შეჩერებული სასწავლო პროცესის გამო, თუმცა ვიზიტისას კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები მათი პროგრამის განვითარებაში მონაწილეობის მტკიცებულების სახით.

მისასალმებელია, რომ კოლეჯი თანმიმდევრულად ახორციელებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების დადგენილ წესებსა და პროცედურას, რომელიც ემსახურება პროგრამის განვითარებასა და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული არის მტკიცებულება იმისა, რომ **კოლეჯი აკმაყოფილებს 2.3.1. კომპონენტის 1 და 2 იდიკატორის მოთხოვნებს.** ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯმა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განახლება წარმატებულად განახორციელა, შეიმუშავა მოცულობითი რეგულაციები და ინსტიტუციაში არსებობს ხარისხის კულტურის დანერგვისა და უწყვეტი განვითარების მზაობა, **მიზანშეწონილია** კოლეჯის შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები მოიცავდეს ინსტიტუციაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის შეფასებას, ხოლო პროგრამის შეფასების მიზნებისათვის კოლეჯში დაინერგოს პროგრამის თვითშეფასების კულტურა, რომელიც ყოველწლიურად უყრის თავს პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგებს და შესაძლებელია მოიცავდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მონაცემებს - გამოკითხვების შედეგებს, ინფორმაციას პროფესიული სტუდენტთა პროგრესიის შესახებ, ინფორმაციას განხორციელებული კვლევების შესახებ, პროგრამის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**



**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

განმახორციელებელი პერსონალის მდგრადობის მაჩვენებელს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლს, პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილი ძლიერ მხარეებს პროგრამის თვითშეფასების პერიოდში გამოვლენილ სუსტი მხარეებს, გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიასა და მიზნობრივ ღონისძიებეს და სხვ. პროგრამის შეფასების აღნიშნული ინსტრუმენტი, კოლეჯს შესაძლებლობას მისცემს გაზომოს წლიდან წლამდე განცდილი პროგრესი, თითოეული პროგრამის განვითარების კონტექსტში და მისი გავლენა ინსტიტუციის საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგებზე.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**





*(ქ.თბილისი, 2020)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 31 ივლისის №01-02/150 ბრძანება;
- სსიპ კოლეჯის „ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 01 ივნისის №01-02/88 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (მოდულური პროგრამის) შემუშავების, დამტკიცებისა და გაუქმების, პროგრამაში ცვლილების შეტანის წესი და პროცედურა“;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2019 წლის 01 აგვისტოს №01- 02/152 ბრძანებით დამტკიცებული ,,სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2019-2026 წლების სტრატეგიული გეგმა;
- განახლებული კითხვარები და კვლევის მეთოდოლოგია;
- სსიპ კოლეჯი ,,ბლექსი“ 2020 წლის სამოქმედო გეგმა;
- ხარისხის მართვის მენეჯეროს 2019 წლის ანგარიში.
- ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფის 2020 წლის სამოქმედო გეგმა;
- კოლეჯში სწავლების მდგომარეობის და არსებული სასწავლო გარემოს კმაყოფილების კვლევა (2020);
- პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი;
- პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი;
- პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა, დამსაქმებელთა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კითხვარების ფორმები;
- კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

☐ არ შეესაბამება

PDF Eraser Free

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ სასწავლო გეგმა (ინტეგრირებული) უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები. გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმაც. ასევე, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის, დაცული არის ინტეგრირებული პროგრამის სასწავლო გეგმის აგების სპეციფიკა. კოლეჯის წარმოამდგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ პროგრამის განხორციელების ციკლის დასრულების შემდეგ მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით კოლეჯი შესაბამის პროცედურებზე დაფუძნებით გადახედავს არსებულ სასწავლო გეგმას და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გააუმჯობესებას.
2. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, რისი მიზანიც სტუდენტთა ინტერესების დაცვაა. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად, კოლეჯი მუშაობს სხვადასხვა ცვლაში, შესაბამისად, შესაძლებელია სტუდენტთა უმრავლესობის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება. ასევე, გათვალისწინებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების შესაძლებლობა სხვადასხვა შემთხვევებისათვის (სსსმ სტუდენტის სტატუსი, მობილობა, სტატუსის

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**

PDF Eraser Free

აღდგება და სხვ).სასწავლო პროცესში მონაწილე პირები პროფესიული სტუდენტები, პროფესიული განათლების მასწავლებლები და ადმინისტრაცია სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციას ეცნობიან ელექტრონული საშუალებებით, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტებით, სატელეფონო შეტყობინებით. მოცემულ ეტაპზე კოლეჯის წარმომადგენლების განცხადებით ამ ეტაპზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემის" მასწავლებლები ჩართული არიან სამინისტროსა და UNDP -ის მიერ შექმნილ დარგობრივ ქსელებში და განიხილავენ, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობას.

3. ,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამაზე სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს და დარგის ტექნოლოგიებს, მოდულებში გამოყენებულია სწავლების აქტიური მეთოდები სემინარი, დისკუსია და სხვა. პროგრამის განამხორციელებელ მასწავლებლებთან და კოლეჯის წარმომადგენლეთან ინტერვიუების შედეგად დადასტურდა, რომ მასწავლებლებს რეგულარულად უტარდებათ ტრენინგები ორ კომპონენტში - სწავლებასა და დარგობრივი კომპეტენციაში. სწავლების მიმართულებით ისინი პერიოდულად ეცნობიან და საკუთარ საქმიანობაში ნერგავენ სწავლების თანამედროვე მეთოდებს, ხოლო დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების უზრუნველსაყოფად კოლეჯი შესაძლებლობას აძლევს მასწავლებლებს გაეცნონ დარგის ტექნოლოგიურ სიახლეებს. სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ასევე, კოლეჯის დირექტორის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფი, ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით ატარებენ ტრენინგებსა და საკონსულტაციო შეხვედრებს, რითაც უზრუნველყოფილია გამოცდილების ურთიერთგაზიარება, სიახლეებიის მოძიება და დანერგვა, ამასთან ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო ჯგუფი აწარმოებს თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების მდგომარეობის შესწავლის მიზნით. საგულისხმოა, რომ 2020 წლის სამოქმედო გეგმით და კოლეჯის შესაბამისი ბიუჯეტითაც გათვალისწინებულია ფინანსური რესურსი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად დაგეგმილი აქტივობებისათვის. პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია cisco - ს ქსელური აკადემიის სასწავლო რესურსები. როგორც ინტრევიუებიდან დადასტურდა, პანდემიის გამო სასწავლო პროცესის შეჩერების მიუხედავად, გრძელდებოდა კომუნიკაცია დარგის მასწავლებლებთან დისტანციური ფორმატით და შემუშავებული იქნა მიდგომები - საჭიროების შემთხვევაში როგორ დაინერგება დისტანციური სწავლება.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

4. კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, რომლებიც შშმ და სსსმ სტატუსის მქონე პირებთან მიმართებაში ასევე, იმ პირთა მიმართ რომლებსაც სჭირდებათ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლება (მაგალითად მობილობით გადმოსული ან სტატუსაღდგენილი პირები). მასწავლებლებს გავლილი აქვთ სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგი ,,სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში", რასაც ისინი იყენებენ სწავლების პროცესში. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტთან, მასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ინდივიდუალური გეგმის შემუშავების საჭიროება ,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამაზე არ გამოვლენილა.
5. ,კომპიუტერული ქსელი და სისტემების" პროგრამა არ ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან.
6. კოლეჯში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით შემუშავებულია წესი, კოლეჯს გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, შენობაში არის უსაფრთხოების შესაბამისი მანიშნებლები, შემუშავებულია საევაკუაციო გეგმა, იდენტიფიცირებულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. უსაფრთხო სამუშაო გარემოზე პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს მატერიალური რესურსების მენეჯერს, ხოლო სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მოდულის განმახორციელებელ მასწავლებლებს.

   სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 01-02/18 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის თანახმად. სწავლების პროცესში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მასწავლებელს. კოლეჯის წარმომადგენლებთან და პროგრამის განმახოციელებელ პერსონალთან ინტერვიურების შედეგებით დადასტურდა, რომ პროფესიული მოდულების მასწავლებლები პრაქტიკული კომპონენტის ნაწილში, საჭიროებიდან გამომდინარე, ატარებენ ინსტრუქტაჟს. „შრომის უსაფრთხოების შესახებ" პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის" ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/92 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული მოდულებისათვის შრომის ინსტრუქტაჟის გაწევის ვალდებულების საკითხი. ჩანაწერების ჟურნალში პროფესიულ სტუდენტთა ხელმოწერა უზრუნველყოფს ინფორმაციის მიღებას მათ ინფორმირებულობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება, სწავლების პროცესში უსაფრთხო / სამუშაო გარემოს, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეძენილია ანტისტატიკური სამაჯური, ანტისტატიკუი ხალიჩა და დამცავი სათვალე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

**საგანმანათლებლო პროგრამა** -

PDF Eraser Free

- ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ (ორგვარი მიდგომით, მათ შორის, ინტეგრირებული სასწავლო გეგმით).
- კალენდარული გეგმის ფორმა და წარმოების წესი“ დამტკიცერბული სსიპ პროფესიული კოლეჯი ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 31 მაისის №01-02/101 ბრძანებით;
- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ,,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის და შეფასების მტკიცებულებების მოპოვების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 12 ივნისის №01-02/114 ბრძანება;
- ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის ,,ბლექსი“ თანამშრომელთა სამსახურეობრივი ინსტრუქციები“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის N 01-02/18 ბრძანებით;
- ,,სსიპ კოლეჯში ,,ბლექსი“ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ინსტრუქცია“ დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 08 ივნისის №01-02/99 ბრძანებით;
- „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების ჟურნალის“ ფორმისა და წარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №01-02/92 ბრძანება;
- პროგრამის განმახორციელებლებთან და კოლეჯის წარმოამდგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.4.2** შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას.

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Erase Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. შესწავლილი დოკუმენტაციის საფუძველზე ექსპერტები მიიჩნევენ რომ პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში ასახულია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა. წესი განთავსებული ვებ - გვერდზე და სწავლის პირველი კვირა სტუდენტებისათვის ამ წესის გაცნობას ეთმობა, რაც დასტურდება ინფორმირების ფურცლებზე სტუდენტთა ხელმოწერებით. კოლეჯში დამტკიცებულია შეფასების ინსტრუმენტის ფორმა, რომლის მიხედვითაც ხდება ინსტრუმენტის შემუშავება. კოლეჯში შემუშავებულია რეგულაცია, რომლის მიხედვით ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს ითანხმებს დარგის სპეციალისტი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი მის ტექნიკურ მხარეს ამოწმებს. არსებული რეგულაციის შესაბამისად სტუდენტი ინფორმირდება შეფასების წესის, პროცედურის თაობაზე. ასევე, ინფორმირებულია შეფასების კრიტერიუმების შესახებ. პროფესიული განათლების მასწავლებლები კალენდარული გეგმის შესაბამისად ახდენენ სტუდენტთა ინფორმირებას შეფასების თარიღთან დაკავშირებით. სტუდენტის მიერ შეფასების გაცნობა დასტურდება მტკიცებულებაზე მისი ხელმოწერით. სტუდენტს აქვს შეფასების ერთხელ გადაბარების, ასევე, შეფასების გასაჩივრების უფლება. შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალობა, სამართლიანობა და ობიექტურობა შეფასებადია ვერიფიკაციის პროცესში რომლის განხორციელების რეგულაცია შეიმუშავებული აქვს კოლეჯს.
2. სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" 2020 წლის 5 ივნისის №01-02/93 ბრძანებით განახლდა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. აღნიშნული რეგულაციის შესაბამისად კოლეჯი უზრუნველყოფს ვერიფიკაციის პროცესს. მექანიზმის განალხლებამდე არსებული რეგუალციის შესააბამისად კოლეჯში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ვერიფიკაციის პრაქტიკა.კოლეჯშ შემუშავებული აქვს 2020-2021 წლების ვერიფიკაციის გეგმა.
3. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო/სტრუქტურის, შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეთანხმების, შეფასების მტკიცებულების მოპოვების, გადაბარებისა და შენახვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ" სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი'' დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის N01-02/ 11 ბრძანების თანახმად, კოლეჯს გათვალისწინებული

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

PDF Eraser Free

ჰქონდა შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვა და შენახვა შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით; სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2020 წლის 5 ივნისის №01-02/93 ბრძანებით დამტკიცდა კოლეჯში ვერიფიკაციის განახლებული მექანიზმი, რომელშიც გათვალისწინებულია აღნიშნული ჩანაწერი.

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული გათვალისწინებულია ვერიფიკაციის მექანიზმით. ასევე, კოლეჯი, არსებული რეგულაციების შესაბამისად აქტიურად იყენებს განმავითარებელ შეფასებას, რაც ასევე გამოიყენება პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარებისათვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

**სწავლის შედეგების შეფასების სისტემის მარეგულირებელი წესი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის:**

- სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ დირექტორის 2019 წლის 25 ივლისის N01-02/ 139 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით შეფასების ინსტრუმენტის ჩარჩო/სტრუქტურის , შეფასების ინსტრუმენტის შემოწმების ფორმის, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების, შეთანხმების, შეფასების მტკიცებულების მოპოვების, გადაბარებისა და შენახვის წესისა და პროცედურის დამტკიცების შესახებ“ სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი'' დირექტორის 2020 წლის 20 იანვრის N01-02/ 11 ბრძანება;
- შეფასების ერიფიკაციის მექანიზმი - დამტკიცებული სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი“ 2020 წლის 5 ივნისის №01-02/93 ბრძანებით;
- 2020-2021 წლების ვერიფიკაციის გეგმა.
- გასაჩივრების დამტკიცებული პროცედურები ( განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში მუხლი 32);
- კოლეჯის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**



*(ქ.თბილისი, 2020)*

**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

PDF Eraser Free

**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## X. თანდართული დოკუმენტაცია

**დანართი 1.** ვიზიტის დღის წესრიგი - 2 (ორი) გვერდი;

**დანართი 2.** ხელშეკრულება ინტერგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ სხვადასხვა დასახელების ლაბორატორიების აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ - 12 (თორმეტი) გვერდი .

**თარიღი: 18.07.2020**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:**